თემზე დაფუძნებული ტურიზმის ანალიზი,ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიების მიმდებარე ზონაში

მარიამ გაუარაშვილი

„სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ტურიზმის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად“

პროგრამა: ტურიზმის მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ქემერტელიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024 წელი

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი,ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორის მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარმოდგენილ მასალებს, რომლებიც არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი დაიწერა და წარდგენილი იყო კვლევის მეთოდების (სამაგისტრო საფეხური) კურსზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში (იანვარი,2024 წელი).

მარიამ გაუარაშვილი. მ.გაუარაშვილი 2024 წელი

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი, შესრულებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიზნესის სამაგისტრო საფეხურის, ტურიზმის მენეჯმენტის მაგისტრატურის ხარისხის მოსაპოვებლად. ნაშრომში განხილულია თემზე დაფუძნებული ტურიზმის ანალიზი ბაწარა-ბაბანეურის ტერიტორიების წინამდებარე ზონაში. კვლევის წარმოებისა და დასკვნებისათვის საჭირო იყო სხვადასხვა ლიტერატურის მიმოხილვა, სხვადასხვა კვლევის განხილვა, ასევე ადგილზე კვლევის ჩატარება. ნაშრომში განხილულია, როგორც ბაბანეურის მცხოვრები მოსახლეობის კულტურა და ტრადიციები ასევე, პანკისის თემის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება, წეს_ჩვეულებები და ნაკრძალის ტერიტორიის მნიშვნელობა. თემის აქტუალურობას კი ადასტურებს ტურიზმის პოტენციალის ზრდა და ეკონომიკური სარგებლის გაზრდა ქვეყნის მასშტაბით, ასევე წინამდებარე ზონის კულტურულ-ტურისტული პოტენციალის არსებობა.

ნაშრომის მიზანია გამოვლინდეს თუ როგორ არის შესაძლებელი განვითარდეს ბაწარა-ბაბანეურის დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმი, ასევე რა როლი ექნება მდგრადი ტურიზმის განვითარებას წინამდებარე ზონაში მცხოვრები ხალხის განვითარებისათვის. ბაწარას ტერიტორიაზე დასახლებულინი არიან, როგორც ქართველი ქრისტიანები ასევე სხვა ეთნიკური ჯგუფია წარმომადგენლები, ხოლო ბაბანეურის ტერიტორიაზე ერთი სარწმუნოების ადამიანთა ჯგუფი _ ქრისტიანები. ასევე უნდა შენარჩუნდეს ბაწარა-ბაბანეურის იდენტობა და გამოვლინდეს გადასადგმელი ნაბიჯები, რომელშიც ასახავენ მდგრადი ტურიზმის განვითარების პროცესის დასახვას.

როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, წინამდებარე ზონას გააჩნია ტურისტული პოტენციალი, თუმცა აუცილებელია იდენტობის, სარწმუნოების, წეს-ჩვეულებების შენარჩუნება. ხოლო ნაკრძალების მხრივ კი საჭიროა,როგორც ბაბანეურის

სახელმწიფო ნაკრძალის, ასევე ბაწარას სახელმწიფო ნაკრძალის დაცვა და მოფრთხილება.

Abstract

Presented work Is done by Ilia State University, Business magistrate student for the purpose of obtaining Tourism Management Magistrate status. Here we discuss analisis of tourism in „Batsara-Babaneuri“ Region and its nearby regions. To conduct this analysis, it was crucial to conduct many differect kinds of reaserch, both on-site and off-site. In this work we review culture and traditions of the inhabitants of „Babaneuri“ as well as „Pankisi“ community life style, social rules and the implications of the nature reserve to them. The fact that the tourism and economy has been rapidly growing over the years in this region, solidifies the actuallity of the reserve and its potential to grow even further. The aim of this work is to disclose the tourism development possibilites in „Batsara-Babaneuri“ region and what role it will play in improving the life of the inhabitants of the region. There are many different cultures living in „Batsara-Babaneuri“ settelments, these include Orthodox Christiaity Georgians as well as „Qistebi“, traditionally muslim community. Specifficly in the region of „Babaneuri“ the inhabitants are christians. It is crucial that the identity of the „Batsara-Babaneuri“ region remains unharmed while the oppertunities of steady tourism development are found. As the conclusions of previous reasearch showed, the region has a lot of potential for tourism growth, but it is crucial that the identity, religion and way of life of its inhabitants is left unharmed. As for the „Batsara-Babaneuri“ Reserve, it is important to protect and care for the reserve.